განკარგულება:**გ-37. 37240872**
თარიღი:**27/03/2024**

**განკარგულება N16**

27 მარტი 2024 წელი

ქ. ოზურგეთი

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

***გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :***

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

**მუხლი 2.** მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

**მუხლი 4.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი